საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 6 მაისი**

დისციპლინური საქმე №105/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2020 წლის 25 სექტემბრის №105 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 20 ნოემბრის №105/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე -- -- მიმართ. საჩივრის ავტორის განცხადებით, ზემოაღნიშნული საქმის განხილვის პროცესში, 2020 წლის 10 სექტემბრისა და 15 სექტემბრის სასამართლო სხდომებზე მოსამართლე გამოცხადდა დაგვიანებით, რის გამოც დაცვის მხარეს მოუწია სასამართლოში ხანგრძლივი ლოდინი.

ამასთან, საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ სისხლის სამართლის საქმე განიხილა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2020 წლის 7 სექტემბერს სისხლის სამართლის საქმე არასრულწლოვან -- -- მიმართ წინასასამართლო სხდომაზე განსახილველად გადაეცა -- -- სასამართლოს მოსამართლეს -- --

საქმეში წარმოდგენილი სხდომის ოქმების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2020 წლის 10 სექტემბრის სასამართლო სხდომა მოსამართლე -- -- დაიწყო 1 საათისა და 59 წუთისა და 17 წამის დაგვიანებით. კერძოდ, 2020 წლის 10 სექტემბრის სასამართლო სხდომა ჩანიშნული იყო 12:00 საათზე, ხოლო სასამართლო სხდომა დაიწყო 13:59:17 საათზე. სასამართლო სხდომის 14:30:39 საათზე -- -- უარი განაცხადა კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელებაზე, რის საფუძველზეც, მოსამართლის საოქმო განჩინებით -- -- დაენიშნა საპროცესო წარმომადგენელი. ამავე სასამართლო სხდომაზე, არასრულწლოვან -- -- კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით, სასამართლომ

განიხილა -- -- მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხი. სასამართლო სხდომა დასრულდა 15:23:15 საათზე.

მომდევნო სასამართლო სხდომის დაწყების თარიღად და დროდ განისაზღვრა 2020 წლის 15 სექტემბერი, 11:00 საათი. 2020 წლის 15 სექტემბრის სხდომის ოქმის თანახმად დგინდება, რომ სასამართლო სხდომა დაიწყო 20 წუთისა და 55 წამის დაგვიანებით, 11:20:55 საათზე.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 20 ნოემბრის დასკვნა:

-- 2020 წლის 25 სექტემბრის №105 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცომის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

განსახილველ შემთხვევაში, დისციპლინური საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებულ საპროცესო მოქმედებას ესწრება მისი კანონიერი წარმომადგენელი, ხოლო ამ კოდექსით დადგენილ შემთხვევებში – აგრეთვე არასრულწლოვნის ადვოკატი, გარდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 121-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 171-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ამავე კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის მიმართვის საფუძველზე საპროცესო წარმომადგენლად ასახელებს თავისი თანამშრომლის კანდიდატურას. გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე საპროცესო წარმომადგენლად ნიშნავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ წარმოდგენილ კანდიდატს ან სხვა სანდო პირს, თუ: ა) პროცესში კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა არასრულწლოვნის სამართალდამცავ ორგანოში მიყვანიდან 1 საათის განმავლობაში შეუძლებელია; ბ) არასრულწლოვანი არ ცხოვრობს კანონიერ წარმომადგენელთან ან/და უარს აცხადებს მასთან დაკავშირებაზე ან პროცესში მის მონაწილეობაზე; გ) კანონიერი წარმომადგენელი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს; დ) არასრულწლოვანი კანონიერი წარმომადგენ-

ლის მიერ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლია ან თვითმხილველია; ე) კანონიერი წარმომადგენელი იმავე დანაშაულის ჩადენაშია ბრალდებული; ვ) კანონიერი წარმომადგენელი ხელმიუწვდომელია.

მოცემულ შემთხვევაში, -- -- საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2020 წლის 10 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე -- -- უარი განაცხადა კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელებაზე, რის საფუძველზეც, მოსამართლის საოქმო განჩინებით -- -- დაენიშნა საპროცესო წარმომადგენელი. ამდენად, მოსამართლე -- -- მოქმედებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

რაც შეეხება სასამართლო სხდომაზე მოსამართლის მხრიდან დაგვიანების ფაქტებს, აღნიშნულთან დაკავშირებით, უნდა განიმარტოს, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იზიარებს ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ არ იქნებოდა სწორი პროფესიული სტანდარტების დარღვევის გათანაბრება გადაცდომასთან, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინური სანქციები. პროფესიული სტანდარტები წარმოადგენს საუკეთესო გამოცდილებას, რომლისკენაც ყველა მოსამართლე უნდა მიისწრაფოდეს. ამ სტანდარტების იმ გადაცდომებთან გაიგივება, რომელმაც შეიძლება დისციპლინური პასუხისმგებლობა წარმოშოს გამოიწვევს სტანდარტების სამომავლო განვითარების შეჩერებას და დააკარგვინებს მათ აზრს. იმისათვის, რომ გადაცდომას თან მოჰყვეს დისციპლინური სასჯელი, გადაცდომა უნდა იყოს არა მხოლოდ დისციპლინური სტანდარტების დარღვევა, არამედ სერიოზული და არასაპატიო ქმედება.[1]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა (სახდელი) დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თავით დადგენილი წესით განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დადგინდება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ დადგინდა მოსამართლის მხრიდან პროცესზე დაგვიანების ფაქტები, აღნიშნული არ შეიძლება გახდეს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საფუძველი, ვინაიდან სასამათლო სხდომების დროულად დაწყებისა და დამთავრების საკითხები დაკავშირებულია მოსამართლის ზოგადი პროფესიულ სტანდარტების შესრულებასთან და განსახილველ შემთხვევაში მას არ შეუქმნია არსებითი ხასიათის ზიანი მართლმსაჯულების ინტერესებისთვის.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

[1] იხ. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა #3 პუნქტი 60
http://hcoj.gov.ge/files/pdf%20files/aqtebi/CCJE%282001%29OPINION%203_GEO-revised%20final.pdf

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75[12] მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №105/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი